დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ქეთევან ბოტკოველი **წევრ(ებ)ი:** ცირა ნიკოლაშვილი

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**შპს მწვანე სკოლის ტყის კამპუსი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**ს/კ 404587185**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	**ნაძალადევის რაიონი, ხუდადოვის N1**
საფოსტო ინდექსი	**0102**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://greenschool.ge/**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**info@greenschool.edu.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**032 2 520 008**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2025 წლის 26 მაისის ბრძანება N573396 - შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ.**
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	**02.06.2025**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის 2 ივნისს შპს „მწვანე სკოლის” ტყის კამპუსში ჩატარდა მონიტორინგის ვიზიტი, რომელიც განხორციელდა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 26 მაისის №573396 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანება ითვალისწინებდა შპს „მწვანე სკოლის – ტყის კამპუსის” მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ცენტრში შემოსული 2025 წლის 7 მაისის №499923 კორესპონდენციაში ასახული გარემოებების გამოკვლევა და შემოწმება, ასევე მათი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც გადაეცა სკოლის დამფუძნებელ დირექტორს ვიზიტის დღეს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებასთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი წარიმართა თანამშრომლობის ატმოსფეროში. სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოსწავლეებთან გასაუბრებისთვის საჭირო მშობელთა თანხმობების მოპოვება. მონიტორინგის ფარგლებში გასაუბრებები გაიმართა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მასწავლებელთა ასისტენტებთან, კლასის ტუტორებთან, ასევე — მოსწავლეებთან და მშობლებთან. ექსპერტთა შეკითხვები შეეხო 2025 წლის 7 მაისს ცენტრში შემოსულ კორესპონდენციას (№499923), რომელიც მიზნად ისახავს მასში აღწერილი გარემოებების გამოკვლევას. კორესპონდენციის ავტორის განცხადებით, მისთვის შპს „მწვანე სკოლის” (ს/ნ 402191365) პერსონალისგან ცნობილი გახდა კანონით დაუშვებელი პრაქტიკის შესახებ, რომელიც, მისივე თქმით, ხორციელდება შპს „საქართველოს განათლების ჯგუფის” მითითებით. აღნიშნული კომპანია ფლობს „მწვანე სკოლის” წილების 90%-ს. განმცხადებელი მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღმა დგას მიზანი — შემცირდეს ხარჯები საგანმანათლებლო პროცესზე, რაც რეალურად იწვევს სწავლების ხარისხის გაუარესებას. კერძოდ, როგორც წერილშია აღნიშნული, სკოლის გაკვეთილებს სისტემატურად ატარებენ სტუდენტები — კვალიფიციური მასწავლებლების ნაცვლად. ეს გარემოება, განმცხადებლის შეფასებით, იწვევს მოსწავლეთა და მათი მშობლების უკმაყოფილებასა და იმედგაცრუებას. შესაბამისად იგი ითხოვს, კომპეტენციის ფარგლებში, შესწავლილ იქნას ფაქტობრივი მდგომარეობა შპს მწვანე სკოლაში და დადგინდეს მისი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ზოგადი განათლების შესახებ კანონთან ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასთან.

სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გამართული ინტერვიუებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა გაკვეთილს საგნის მასწავლებელთან ერთად ესწრება მასწავლებლის ასისტენტი ან ტუტორი. თუმცა, სკოლის სტრუქტურის შესაბამისად, ისინი ითვლებიან მხარდამჭერ მასწავლებლებად, რაც ასახულია მათთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებშიც — დოკუმენტებში ისინი აღნიშნულნი არიან, როგორც "მხარდამჭერი მასწავლებლები". შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა მხარდამჭერი მასწავლებლის მოვალეობები, კერძოდ,

- საგნის მასწავლებლის აქტიური მხარდაჭერა სამუშაო პროცესში;
- მოსწავლეთა მომზადება საგაკვეთილო პროცესისათვის და მასწავლებლებთან აქტიური თანამშრომლობა გაკვეთილის წარმართვის პროცესში;
- მოსწავლეთა მიერ დავალებების შესრულების მონიტორინგი;
- პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოსწავლეებთან თბილი და მზრუნველი ურთიერთობების დამყარება;
- მოსწავლეთა აკადემიურ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მუდმივი კომუნიკაციისა და უკუკავშირის უზრუნველყოფა კლასის კოორდინატორთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ გააჩნია მასწავლებლის ასისტენტის (მხარდამჭერი მასწავლებლის) პოზიციისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე, სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების ბრძანება.

მოსწავლეებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლის ასისტენტის (მხარდამჭერის) ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს კლასში დისციპლინის უზრუნველყოფაში, რაც ეხმარება ძირითად მასწავლებელს გაკვეთილის მშვიდ გარემოში წარმართვაში. ასევე, ძირითადი მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, ასისტენტი ცვლის მას და ატარებს გაკვეთილს მისი წინასწარი მითითებების საფუძველზე.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა სკოლის ძირითადი მასწავლებლების პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. აღნიშნული მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის ოთხი პედაგოგის (ნ.პ., თ.ქ., ს.ჩ., ა.ხ.) კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, არც ერთ მათგანს არ გააჩნია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის ან საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

- ნ.პ., თ.ქ. და ს.ჩ. ფლობენ ბაკალავრის ხარისხს **სოციალურ მეცნიერებებში**;
- ა.ხ. ფლობს ბაკალავრის ხარისხს **აღმოსავლეთმცოდნეობაში**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას მასწავლებლის ასისტენტის (მხარდამჭერის) პოზიციისთვის, საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ აქვს შემუშავებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების ბრძანება არ იქნა წარმოდგენილი.

მოსწავლეებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მასწავლებლის ასისტენტი (მხარდამჭერის) აწესრიგებს სიტუაციას კლასში, რათა ძირითადმა მასწავლებელმა მშვიდ გარემოში შეძლოს გაკვეთილის ჩატარება, ან ძირითადი მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში შეცვალოს იგი და მისგან მიღებული მითითებების თანახმად ჩაატაროს გაკვეთილი.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა სკოლის ძირითადი მასწავლებლების პირადი საქმეებიც და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. გამოიკვეთა შემდეგი: დაწყებითი კლასის 4 პედაგოგის (ნ.პ; თ.ქ; ს.ჩ) კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამდენადაც არც ერთ მათთგანს, არ აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ნ.პ., თ.ქ. და ს.ჩ ფლობენ ბაკალავრის ხარისხს სოციალურ მეცნიერებებში, ხოლო ა.ხ. არის აღმოსავლეთმცოდენობის ბაკალავრი.

მასწავლებელ ი.მ.-სთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (დაფიქსირებულია გაფორმების თარიღი — 2024 წლის 15 ივლისი) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი მუშაობს სკოლაში „უსტატუსო მათემატიკის მასწავლებლის" პოზიციაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის 2 ივნისით დათარიღებული ცნობის თანახმად, ი.მ. ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2024-2025 წლის შემოდგომის სემესტრში. ცნობის გაცემის მომენტში იგი რეგისტრირებული იყო მეექვსე სემესტრის სტუდენტად 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ სკოლის მიერ **მასწავლებლის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია ჯერ კიდევ სტუდენტთან (სხვა განათლების დამადასტურებელო დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია)**, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

სამართლებრივი საფუძველი:

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, კერძოდ <u>**მუხლი 21³. მასწავლებლის განათლება**</u>

1. **ამ კანონის 21² მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობების მასწავლებლები უნდა აკმაყოფილებდნენ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:**

ა) უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);

ბ) უნდა ჰქონდეთ განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

გ) უნდა ჰქონდეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიარონ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი;

დ) უნდა ჰქონდეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ე) უნდა ჰქონდეთ მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ვ) უნდა ჰქონდეთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

მასწავლებლობის მაძიებლების დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები:

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში **სამ პედაგოგთან** – ნ.კ., მ.ხ. და ნ.ხ. – გაფორმებულია **მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით დასაქმების შრომითი ხელშეკრულებები**:

- ნ.კ. – 2022 წლის 1 სექტემბრიდან
- მ.ხ. – 2023 წლის 18 მაისიდან
- ნ.ხ. – 2023 წლის 26 ივნისიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებების თარიღებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ორ პედაგოგთან (ნ.კ. და მ.ხ.) **გავიდა კანონით დადგენილი 2-წლიანი ვადა**, რაც წყვეტს მათ კანონიერ უფლებას იმუშაონ მაძიებლის სტატუსით. ნ.ხ.-ს შემთხვევაში, **ორი წლის ვადის ამოწურვა** მოხდება **2025 წლის 26 ივნისს**.
დამატებით, შემოწმებისას **არ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია**, რომელიც დაადასტურებდა იმ მაძიებელ პედაგოგთა მიერ:

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლას და
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებას.

ასევე, სკოლამ **ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია**, რომელიც ასახავს მაძიებელ მასწავლებლებთან **ტუტორი მასწავლებლების მხარდაჭერის პროცესს** და საქმიანობას, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მაძიებლის სტატუსით მუშაობის პერიოდში.
სამართლებრივი საფუძველი:
საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, <u>მუხლი 21[4]. მასწავლებლობის მაძიებელი</u>

4. მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით პირმა სკოლაში შეიძლება იმუშაოს არაუმეტეს 2 წლისა. ამ პერიოდში მან უნდა გაიაროს მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა. მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში პირს ამ კანონის 21[3] მუხლით მასწავლებლის განათლებისათვის დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ეთვლება.

6. მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდში მასწავლებლობის მაძიებლის ზედამხედველობისთვის პასუხისმგებელია ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც იგი ასწავლის.

7. თუ მასწავლებლობის მაძიებელი ვერ დაძლევს მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას, მას უწყდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება ავტორიზაციის **მესამე სტანდარტის** დარღვევა, კერძოდ:
ქვეკომპონენტი 3.1.2 – პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

- **ინდიკატორი 3.1.2.3** – პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

აღნიშნული მოთხოვნა **დარღვეულია**, ვინაიდან სკოლის მიერ **არ არის დადგენილი და დამტკიცებული მასწავლებლის ასისტენტის (მხარდამჭერი მასწავლებლის) პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები**. შესაბამისად, ვერ ხერხდება პოზიციის შესაბამისი კადრების შერჩევის პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ განხორციელება.

- **ინდიკატორი 3.1.2.4** – პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნული ინდიკატორის გათვალისწინებით, გამოვლინდა რამდენიმე შეუსაბამობა:

1. **სკოლის ოთხი მასწავლებლის (ნ.პ.; თ.ქ.; ს.ჩ.; ა.ხ.) აკადემიური კვალიფიკაცია არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს ან საგნობრივ ჯგუფს**, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების შესახებ კანონით დადგენილ მოთხოვნებს მასწავლებლის მინიმალური კვალიფიკაციის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მიერ **მასწავლებლის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია** ი.მ.-სთან **ჯერ კიდევ სტუდენტთან (სხვა განათლების დამადასტურებელო დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია)**, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.
3. **სკოლაში მუშაობენ მაძიებელი მასწავლებლები, რომლებთაც გაუვიდათ მაძიებლობის ვადა და** სკოლამ **ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია**, რომელიც ასახავს მაძიებელ მასწავლებლებთან **ტუტორი მასწავლებლების მხარდაჭერის პროცესს** და საქმიანობას, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მაძიებლის სტატუსით მუშაობის პერიოდში.
4. **მასწავლებელთა უმრავლესობას არ აქვს წარმოდგენილი ცნობები**, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ისინი **არ არიან ნასამართლევნი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის**, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია **მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულოა**.

ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლის ორი წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები **არ შეესაბამება** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 28 ივლისის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს". **დარღვევა გამოიხატება იმაში**, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებებში **არ არის ასახული აღნიშნული წესით განსაზღვრული მინიმუმ ოთხი სავალდებულო ფუნქცია**, რაც ეწინააღმდეგება ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.
ამასთანავე, ექსპერტებისთვის წარმოდგენილ **ხელშეკრულებებზე არ ფიქსირდება რეგისტრაციის ნომრები**, მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალში მათთვის მინიჭებულია შესაბამისი ნომრები.
ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულებამ **სრულად ვერ უზრუნველყო** შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალისა და მასწავლებელთა პირადი საქმეების წარმოდგენა. ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავდა მოთხოვნილ ინფორმაციას, ხოლო დამატებითი მასალები ცენტრში გადმოიგზავნა ვიზიტის დასრულების შემდეგ. კერძოდ, გადმოიგზავნა მხოლოდ 22 მხარდამჭერი მასწავლებლისა და 13 მასწავლებლის არასრული პირადი საქმეები, მაშინ როდესაც სკოლაში დასაქმებულია დაახლოებით 100 თანამშრომელი — მათ შორის უფროსი, წამყვანი, მხარდამჭერი და სპეციალური მასწავლებლები. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს როგორც საქმისწარმოების პროცესის დაურეგულირებლობას, ისე ადმინისტრაციული დოკუმენტაციის წარმართვის დაბალ ხარისხზე, რაც არსებითად არღვევს როგორც დაწესებულების შიდა წესებს, ასევე ავტორიზაციის სტანდარტებს. კერძოდ:
ირღვევა როგორც დაწესებულების მიერ დამტკიცებული **საქმისწარმოების წესი (მუხლი 5 — ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი),** რომლის თანახმად ხელშეკრულებებს უნდა დაესვას სკოლის ბეჭედი, თარიღი და მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი, ასევე **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მესამე სტანდარტის 3.6.2 კომპონენტის – *„სკოლაში* საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად" 3.6.2.1 ინდიკატორი – „სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი".**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა საკითხი, რომელიც ეხება სკოლის დასახელების ცვლილებას და შესაბამისი ინფორმაციის დროულად მიწოდებას უფლებამოსილი უწყებისთვის.

კერძოდ, 2021 წლის 20 აგვისტოს, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 3 21 0000807776), შპს „მწვანე სკოლას" (ს/კ 404587185), მდებარე მისამართზე: ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N1ბ, მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 6 წლის ვადით, მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით. ამავე გადაწყვეტილებით მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 300-ით.

შემდგომ, 2022 წლის 29 დეკემბერს, ავტორიზაციის საბჭოს ახალი გადაწყვეტილებით (MES 2 22 0001673925), აღნიშნულ დაწესებულებას მიენიჭა სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა გაიზარდა — 600-მდე.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით:

- **2019 წლის 21 ოქტომბერს** სკოლა დარეგისტრირდა როგორც "**მწვანე სკოლა" (დანართი N1).**
- **2024 წლის 26 მარტს**, შპს „მწვანე სკოლამ" (ს/კ 404587185) შეცვალა საფირმო სახელწოდება და გახდა **შპს მწვანე სკოლა – ნაძალადევი (დანართი N2)**;
- **2024 წლის 28 ნოემბერს**, კვლავ შეიცვალა სახელწოდება და გახდა **შპს მწვანე სკოლა – ტყის კამპუსი (დანართი N3)**.

უნდა აღინიშნოს, რომ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანების (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების) 26 მუხლის თანახმად**, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სახელწოდების ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს არაუგვიანეს **5 სამუშაო დღისა** ცვლილების დადასტურებიდან და წარადგინოს ცვლილების კანონიერად განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

იმის გამო, რომ სკოლას არ წარუდგენია აღნიშნული ინფორმაცია ცენტრისათვის ვადაში, **დაირღვა ავტორიზაციის მესამე სტანდარტის 3.6.2 კომპონენტის 3.6.2.4 ინდიკატორი** – „სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან".

მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა სკოლის ვებგვერდის შინაარსიც. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია სკოლის მისიის, მიზნისა და ღირებულებების შესახებ, ასევე გამოქვეყნებულია სიახლეები. თუმცა ვებგვერდზე არ იძებნება სხვა მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებასთან მიზნობრივი კომუნიკაციისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

კერძოდ, ვებგვერდზე არ არის ასახული შემდეგი ინფორმაცია:

- სკოლის სტრუქტურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ტიპი);
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები;
- გასაჩივრების მექანიზმები;
- ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები;
- დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია.

აღნიშნული არღვევს ავტორიზაციის მესამე სტანდარტის 3.6.3 კომპონენტის „სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას" **3.6.3.5 ინდიკატორის მოთხოვნას**, რომლის მიხედვითაც სკოლის ვებგვერდი (ან შესაბამისი გვერდი) უნდა შეიცავდეს ზემოაღნიშნულ სრულ ინფორმაციას.

შესაბამისად, სკოლა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას იმ სახით, როგორც ეს გათვალისწინებულია მოქმედი სამართლებრივი და ავტორიზაციის სტანდარტით.

მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გაუგებრობა სკოლის მიერ საგნების არჩევითობის წესთან დაკავშირებით. მოსწავლეებმა გამოხატეს უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ მე-11 კლასიდან მათ შეეძლებათ მხოლოდ სამი სავალდებულო საგნის გარდა, დამატებით მხოლოდ სამი არჩევითი საგნის არჩევა. ერთ-ერთმა მოსწავლემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ არჩევანი უნდა გაკეთდეს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შორის, რაც მისთვის არასასურველია, რადგან სურს ორივე საგნის პარალელურად სწავლა. გარდა ამისა, ზოგიერთმა მოსწავლემ გამოთქვა სურვილი, ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისწავლონ ყველა საგანი, რითაც იგულისხმება ფართო განათლების მიღების მოტივაცია.

დაწესებულების დირექციამ გასაუბრების დროს უარყო მოსწავლეთა მიერ გაჟღერებული ინფორმაცია და განმარტა, რომ სავარაუდოდ საკითხი არასწორად იქნა აღქმული მოსწავლეების მიერ.

რჩევა:

რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის მკაფიო, სრულყოფილი და სისტემატური ინფორმაციის მიწოდება საგნების არჩევითობის პრინციპებისა და შესაძლებლობების შესახებ, როგორც წერილობითი ფორმით, ისე საინფორმაციო შეხვედრების ფორმატში. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ საგანმანათლებლო პროცესში მათი არჩევანის ფარგლები, რაც ხელს შეუწყობს მათ მოტივაციის ამაღლებას და სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას.

ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
600	480

სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.	• სკოლის პერსონალის შერჩევის პროცესს არ გააჩნია დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები მხარდამჭერი მასწავლებლის პოზიციისთვის, რაც არღვევს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.	• სკოლის ოთხი მასწავლებლის (ნ.პ.; თ.ქ.; ს.ჩ.; ა.ხ.) აკადემიური კვალიფიკაცია არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს ან საგნობრივ ჯგუფს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების შესახებ კანონით დადგენილ მოთხოვნებს მასწავლებლის მინიმალური კვალიფიკაციის თაობაზე. • სკოლის მიერ მასწავლებლის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია ი.მ.-სთან ჯერ კიდევ სტუდენტთან (სხვა განათლების დამადასტურებელო დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია), რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. • სკოლაში მუშაობენ მაძიებელი მასწავლებლები, რომლებთაც გაუვიდათ მაძიებლობის ვადა. • სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს მაძიებელ მასწავლებლებთან ტუტორი მასწავლებლების მხარდაჭერის პროცესს და საქმიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		• მასწავლებელთა უმრავლესობას არ აქვს წარმოდგენილი ცნობები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ისინი არ არიან ნასამართლევნი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულოა.
*ინდიკატორი N*3.6.2.1	**სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.**	• წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებებში არ არის ასახული წესით განსაზღვრული მინიმუმ ოთხი სავალდებულო ფუნქცია, რაც ეწინააღმდეგება ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. • წარმოდგენილ ხელშეკრულებებზე არ ფიქსირდება რეგისტრაციის ნომრები.
ინდიკატორი N 3.6.2.4	**სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**	• მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად **შპს მწვანე სკოლა** (ს/კ 404587185) იცვლის საფირმო სახელწოდებას 2024 წლის 26 მარტს და ხდება **შპს მწვანე სკოლა - ნაძალადევი.** შპს მწვანე სკოლა - ნაძალადევი (ს/კ 404587185) კვლავ იცვლის საფირმო სახელწოდებას 2024 წლის 28 ნოემბერს და ხდება **შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი** (ს/კ 404587185), თუმცა სკოლას ინფორმაცია სახელის ცვლილების შესახებ არ მიუწოდებია ცენტრისათვის.
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების	• სკოლის ვებგვერდი არ მოიცავს სტანდარტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

V. რჩევები

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **დანართი N1** - 2019 წლის 21 ოქტომბერის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან სკოლის სახელდებასთან დაკავშირებით.
- **დანართი N2** - 2024 წლის 26 მარტის, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საფირმო სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.
- **დანართი N3** - 2024 წლის 28 ნოემბერის, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საფირმო სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ შპს „მწვანე სკოლა – ტყის კამპუსმა“ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც დასტურდება, რომ შპს „მწვანე სკოლა – ტყის კამპუსმა“ სრულად გაიზიარა მონიტორინგის პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები. სკოლამ არამხოლოდ აღიარა იდენტიფიცირებული ხარვეზები, არამედ როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მოახდინა მათზე სწრაფი და მიზნობრივი რეაგირება. გაითვალისწინა მესამე სტანდარტის ინდიკატორების ფარგლებში წარდგენილი ყველა ხარვეზი და უზრუნველყო ხარვეზების გასწორება მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
ექსპერტთა მოსაზრებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა, ადმინისტრაციული წარმოების და არსებული ხარვეზების სპეციკის გათვალისწინებით, ახალი ექსპერტული შეფასების საგანია.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი:
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი).
წევრი: ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი).

14.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: